თავპირს, მაგრამ მოძღვარმა დაუნახა
იმას გულის თავზე მიბეჭული ფაფანაკე
კარგი ნაქარგობისა, სწორედ ისეთი მხ-
ოლოდ ახლაგაზრდა ცოლი რომ მოუქარ-
გავს რაინდა და არაფრით ისეთი, რომ
მოსიყვარულე დაი, ან დედა ძვირფასი, ან
სულაც მონაზონი და მიხვდა, რომ ეგების
და ყაჩაბები არ იყვნენ ესენი და სწორედ
ეს იყოს განგების განკარგულება, რომ
შეეყარა ამ ადამიანებს. ისე ახდეს ყოვე-
ლივე კარგი, როგორც ისა, ცოლიანი კა-
ცის ყაჩალობა ნამეტურ ძხელი წარმო-
სადგენი იყო იმ დროს იმერეთში და იმ
კაცმა კი, რომელიც ჩამოქალკიალდა და
ნაშალი ხვინჭა კი უკან მოჰყვებოდა იმსა-
კოხტა საცხენე წვივებს ფხოვიალისას, მა-
ლევე შემოიხსნა ყაბალახი, გამოაჩინა იმის
ნათელი პირსახე და წევპი ულვაში და
მღვდელმა უთხრა თამამად:

— ვინცხა უნდა იყო, შემოგევლე, მე
ვარ ფესტევნიძე, ქუთაისელი მღვდელი
ამდენ წელინადს ნაჯდომი უდაბნოს ციხე-
ებში ყარიაზე, უგვანი კაცის გალახვისთვის
— და ამ სიტყვებზე ამოიგლივა უბიძან
ხის ჯვარი, პატიმრებისგან ნაკეთები და
მისგანვე ნაკურთხი იმ უდაბნოებში და
დაანახვა მათ.

იმან კი შემოხსნა ის ყაბალახი პირიდან
და აკოცა ჯვარს, გარდისახა პირჯვარი
და უთხრა:

— მე ვარ გლობუნა ბაქრაძე, ლორთ-
ქიფანიძის ფიცისკაცი და ესი კიდე, ხალხი
ვინცხა მომდევს.

იქან ჩამოსხდნენ და ნამალავი არავთ
რო ყოფილა, რა დაიმალება ოდეს რაინდი
იცნობს მღვდელსა და მღვდელი კი აღი-
არებს მის რაინდობას?

ყოველივე აზრი გასცვალეს ერთმანეთში და მცირედი ხემსიც, ცივი მჭადრი და მწარილეული მღვდელს მიართვეს იქ მყოფმა მეთოფებმა უსიტყვიდ და აზრი კი ეს გამოვიდა, რომ გლახუნამ არ იცოდა და შუადღეს ქუთაისში შანსონ კაფეთა დალენწის ამბავი და იოაკიმე ფესტვენიძენ კი იმერეთის ბუბუნისა და მზადებისა ამხელა გაქანებით. და უთხრა მერე გლახუნამ

— არ დაგიმალავ შენფერ მებრძოლს
რომე როგორც კი კარგად ჩამოლამდება
უნდა გავსწიოთ ძირულას პირისქენ, ვინ
იდან იქ იყრიბება ერთი ჯარი ათთაგანი
და იქვე ეკურთხება მეფე იმერეთისა და
თუკი სურვილია შენი, მოძღვარო, შემომ-
იჯექ და გავწიოთ იქისკენ, შენნაირი კა-
ცების მაგროვებელი ვარ მე აქანა დიდი
საქმითსავის. მარა თუ სხვა სავალი გაქ
ახლოა ზეითკენ მიწები გელოვანისა და
იგი კი ყოველთვის შეიფარებს მაშვრალს

მეცნიერებისა! ამან ზარი დაჰკროა მამა იოაკიმე ფესტვენიძის გულგვამში, ზარი ისეთი, რომ სულაც გადაფარა წინანდელი ზარები

ქუთაისში ნარეკი იმ დღეს და მიუგო:

ორს, ნამიყვანე, მეც ვნახო ჩემი მეფე-
და ამას იქით ლაპარაკი არ ყოფილა.

ოლონდ კარგად მოღამდესო და მამა ო-
აკიმეს მისცეს ერთი კარგი ნაბადი, რომ
მოფარებულ ადგილში თვალი მოეტყუები-
ნა და ყველანი ისევ შეიმალენ შესამლებში
რათა დალოდებოდნენ იმედისეულ მოსკა-
ვარამებას და მამა იოაკიმე ფესტვენიძე კი
იწვა გაყუჩებული და მის საფიქრალს
მიცემული და ნელნელა კი გაერგია ტყის
ხმებს ჯადოსნურს და არასაშიშს, თუკი
მტრად არ მიიღებ, და იმასთან ერთად კი
გაერგია ხმადაბალ ლაპარაკებს ტყეში
რაზმეულის ხალხისას, რომლებიც კი მისი
შორიახლო იყვნენ. ისინი იმას ტებილ ლუ-
ლუნსავით, სიტყვათა განურჩევლად ჩაეს-
მოდა, ვინაიდან მამა იოაკიმე ფესტვენიძე
იმგვარ პატიოსნებისა იყო, რომ სხვათა
ლაპარაკის სმენას დიდ უნამუსობად ხე-
დავდა კაცთა მოდგმისა და მიტომაც არ
ისმერნდა, მეტადაც მოიფარა ნაბადის ყურ-
თავზედ, მაგრამ იმ თვალმილულობაში
იმის ცხვირს მისწვდა ცოტა არ იყოს და
მძაფრი სუნი, საიდანღაც მოტანილი და
ის სუნი იცნო მამა იოაკიმე ფესტვენიძემ
ვითარცა სუნი ნამწვი კანაფისა, რომელ-
იც კარგად დაემახსოვრებინა თავისი ციხ-
ობის დროიდან, როცა პატიმარნი თავს
იძრულებდნენ ამ ბოროტ საბრულებლით და

ଓଲାକିମ୍ବେ, ରନ୍ଧ ତାଙ୍କିଲେ କୌରଦାକିରଣକାମ ଏବଂ
ପାତ୍ରିଲୋସନଙ୍କାମ ଯେହାଙ୍କ ଫାଁଦାରୀ, ଅଲସଦେଶ ଏବଂ
ଅମବୀଲ୍ଲେ ଗିନିନେ, ବେଳେ ଫାଁଦାରୀ, ରନ୍ଧ ହିବାମୁଖୀ
କ୍ଷେତ୍ରିକ ଓ ଶୈଖମୋରୁଲ୍ଲା ନାହିଁଲି କିନ୍ତୁ ଏହି ଏବଂ
ଲାଭମିଳିଲେ ଫରିହିଲେବେଳିଦାନ ବେଳେ ମହିରାତ୍ମକରିବି
ଜୁଲାତତତାଙ୍କ ଗାମଶରାଲୀ ସିଲ୍ଲାରୀ ଏବଂ
ନିନ୍ଦା, ମାଘରାତ ତାଙ୍କ, ତାଙ୍କ ରା ପୁଣ୍ୟଲୋକ ସିଲ୍ଲାରୀ
ଏବଂ ମିଳିବିଲା, ସିରିଜାବ୍ରତ ମିଳିଲା, ରନ୍ଧ ଗାହିମଦା ଏବଂ

గ్రామ ప్రేసామ్ర తొండ మొదఫ్లా గ్లుల్లస్, రోమ ర్స్ స్వస్తిగా అడామినానీ, ట్యూండాచ్ శ్మేమసిల్లో అ నిష్పిక్రా, లొర్స క్రి శ్మేవ్స్చ్యాప్స్ మాత, రోమ మాత నీన్ శ్ముద్ల్వొస్ క్రెతింల్పొసానీ వ్యాప్స్చాచ్ గ్లాబ్స్చున్చా, రోమేస్లసాచ్ తొంల్పిస్ మంబాజ్యార్గు త్యాప్సాన్చాక్రి శ్మేచ్చ్యో అప్పుబ్స్చ్యోవిస్ గ్లుల్లిస్ మెబార్స్ డా క్రొర్మింర్చా తమా క్రి మిథ్యేక్సాబ్స్చ్యోవిస్ మెబ్ర్చు శ్మోఫ్ ఆప్రొసా డా గ్యాన్స గ్లాబ్స్చున్చా డాబ్బెచ్చోబ్బె అమాత త్యాప్సాసాగ్స, సాన్చా మిస్ క్రెష్ణి అర్సాన్?

అంధాత, సాఫ్టింర్స్చోబ్సా మంపించెంగ్స్, రోమ ఏగిన్చిప్, ప్యాకింగ్ నొమిమిథ్రోస్ సామార్తాప్లాండ్ డా సాంపొల్పొండ్ క్రి, గ్యాన్స ప్యాకింగ్ వ్యేర్ శ్ముపొన్ని క్రొప్పుత్తే? మితావార్సిం, మరొసిస్చాన్చోబ్సా శ్మేన్ అం గార్పాండాసిసాక్సోస్ అమికార్ప్తావ్యేన్చోబ్సి, రోమ శ్ముజ్యోంబ్స్ కొమ మాతఫ్లా, రొండ్ ఆర్టించెల్ మంస్ వ్యోల్పండా సాన్చాన్చేబ్లాండ్. మే, పొంక్యిమ్ జ్యోక్స్ త్యోన్చోప్ వ్యాన్ శ్ముజ్యోంబ్స్ మాతఫ్లా? అమ త్యాప్సిర్సిం త్యాప్స్చ్యోవ్వె, జ్యోగ్ హిందింక్సోస్ సాజ్మే క్రొ త్యాప్సాల్సిన్, శ్ముబ్బాఫ్రుప్పుత్తా గ్యాన్స కొమ ద్వాల్చి అం జ్యోక్స్, డా డాఫ్చుమ్మిడా సిమ్భీర్సిం డా మేర్పుయ్యో శింత అమ త్యాప్సిర్సింసా. తెలో, డా రూ స్వస్తిగా అడామినానీ, శ్మేమసిల్లిండ్ క్రి డా ఇమిన్ బ్యాండాఫ్చెవ్వో హింద్లుజ్సా ఇస్ క్రెతింల్పి బోస్ జ్యోవార్చి, త్యుసాండ్లెబ్బి మా రోమ గామింపుతాల్చెస్ శ్ముబ్బామొశి, సాండా శ్యే డా త్యుంతి అర్సాండ ఇప్పం డా మాంచున్ పింగ్చెన్చో సాంమిసిండా డా ఆప్పుంచ్చా మాస మిథ్యుమార్గ్ డా డాశ్ శ్ముక్సా త్యాప్సాల్చెబ్బి ఇమ్పుగ్వార్చి కొంచొంత, తింట్చెం

რომ არ გაეგონა არაფერი და სთქვა, უფლება
ლო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემინდე
ყალე მე ცოდვილი, ოლონდ, თვალთა ხუ
ჭვა ერთია, სიმწარის მაგრამ ყურის დახ
უჭვა არ მოამადლა ღმერთმა ადამიანი
ისმინეო, როგორც რო ამრიდებელი არ
დაახვისა, მიტომ რომ თუნდ თვალი დახ
უჭო, ბოლოს მაინც გაიგონებ და მერა ე

იმედია რომ გამოახელ თვალებს, რაც სახ-
ილველად მოუკია ღმერთს, იმის დასან-
ახად.

და ასრე დადუმდა მამა იოაკიმე ფესტვენიძე. მერე კი იყო წამოყრა, რადგან დიდი საათი ეკეთა მაჯაზე გლახუნა ბაქრაძეს, ასევე ლორთქიფანიძისგან წარუქარი ორიოდ კვირის წინ, რახან ტყის გზაზე მავალს მხედარს საათი გამოადგება და ყველანი ამხედრდნენ და მამა იოაკიმე კი ეძღვდა უკევ ბნელში იმ კაცებს, ვისგანაც დამწვარ კანაფის სუნი მოუვიდა და საშინელი სიტყვები მოუვიდა, მაგრამ ვერ ამოიცნო, ვერცა ვინმე ცალფეხი დანართი დანახას, თუმც კი, იმის ცალფეხობა იცოდა, რომ სთქვა, ამ ჩემ ცალი ფეხის სიმრთელემო და გლახუნამ კი ხელი გამოუწოდა მოძღვარს და ჰერთა:

— არ შეიმოსები, მამაო?

მან კი მიუგო:
— ადგილას მივიდეთ შვილო და, — ყო-
ჩაღად შემოუჯდა ცხენზე და დაიძრებ თუ
არა ხმადაბალ და ნელის სვლით, ჩურჩუ-
ლით გააგრძელა, — გლახუნა, შვილო, არ
ეგების კეთილშობილ რაინდებს ყაჩ-
ადებთან ერთად დაინაწილონ საღვთო
საქმე.

იმის მხარზე ნიკაშემოდებულმა კი კა-
რგათ გაიგონა იმის ამონასუნთქი შეკავე-
ბული ოხვრა და ვაშკაცური პასუხი:

— ვიცი, მოძღვარო, შენი გულისტქმა, მე აქანა მომიყვნა ჩემი ბატონის ერთგულებამ და ყოველი ხალხი ვინც დამხვდა, მევალება, მივიყუანო დათქმულ ადგილას. ერთი კაცი ერთი თოფია დღევანდელ დღესე და ეგია სიმწარე ჩვენი ვითარებისა. თქვენის შეწევნით, მამაო, ყოველივემ ღირსეულად ჩაიაროს, სიკვთილშაც და სიცოცხლემაც.

— ღმერთმა დაგლოცის, — ნაიძუტუ-
ბუტა მამა ოიანე ფესტვენიძემ და ტყის
გაუკალობის სიბრძლეს გახედა.

ମିଳିବ ନେବେରୀ କି ଏତିବିନା ଗଲାହୁଣାବ ମାରିପଥ୍ର-
ଏବା ଦେଖିଥେ, ମାର୍ଜିଷ୍ଵେନାଥୀ କି ଉପଲୋଦି ନାହାର-
ଗି ଫାଟାନାକୁ, ଶେଷାରଙ୍ଗିତ ରମ୍ବ ତେବାଦା
ଗୁଲିଲା ଡା ଉପାତିଲୋନ୍କେ ସିଯୁଗାରୁଲି ଡା ଗୁ-
ଲାନ୍ତିଲା ଲାଚିନ୍ଦିକୁ ମିଳିବ ଲାହାରି ପାଇଁ



ას სიბრალულმა გული გაუცია. „ცოდვაა კი. შე საცოდავო, მართლა. აგიჩუყდა ხომ გული. ამათ მოგიკლეს ძმა და მერე მთელი დღე საკუთარ სახლში გმასპინძლობდნენ, დაგცინობდნენ და თან გფარველობდნენ კიდო! რომ ეცნე, რომელს აუკანვალდებოდა ხელი? მასე რომ გვეცოდებოდა, მიტო გვეტირა დედა, ნადირივით რომ დავიპარებით საკუთარ ეზოში. კეთილი ხარ ხომ ძალიან?“ გია ეზუსბაიამ ავტომატი შეაყენა. არაფრით არ ეშვებოდა ხელის შემბირკავი სიბრალული. კაცის კვლისას ყოველთვის ასე ემართებოდა: „მარტო ამ სოფელში რამდენი ადამიანი გააუბედურეს, ოჯახი არ დატოვეს ისე.“ მარც ვერ იშორებდა გულის გამყინვა სიბრალულს. მაგრად გამწარდა. „წადა, შენი! ცოდვაა და ის კიდო! რაც მაგათ ხალხი დაგვიხოცეს, ისინი არ იყვნენ ცოდვა? დადიან თავისუფლად ჩემს სოფელში და ვიმალები აქ მე. რატომ? რატომ უნდა ვკუყურო?“

გია ეზუსბაიამ ავტომატის კონდახლის მხარზე მიიღო. თითქმის გაუსწორდნენ. უცებ, შეაში რომელიც მიიღიოდა, დანარჩენებს გამოყეყო და ხეს მიადგა. „ა, მასე არ ივარგებს, სირცეხვილია!“ ცოტა ხანში ისიც წამოერთია დანარჩენებს, ნიავმა რაღაც სიტყვების ნაწყვეტები და ჩუმი სიცილის ხმა მოიტანა.

ნელა, ფრთხილად დაანვა ავტომატის
სასხლეეტს. სამი გრძელი ჯერი წავიდა. იმ
გრიალშიც გაისმა ერთმანეთზე მიყრილი
გილზების ცივი დამახასიათებელი წერია-
ლი. მოხვედრილმა ტყვიერმა სამივე ლან-
დი ჯერ უცნაურად შეატოკა, თითქოს
ფერხულის ცეკვას აპირებენ, მერე კი
ადგილზე გააშეშა. ჯერ ისევ ფეხზე
იდგნენ, მხოლოდ ორჯერ გაისმა რკინის
ჯახანის ხმა ასფალტზე, ორს ავტომატი
გაუვარდა ხელიდან, მესამე, როგორც ჩანს,
ჯერ კიდევ ბლუჭავდა ხელში იარალს. მერე
ერთმანეთის მიყოლებით ნელა, თითქოს
ფრთხილად, განვენენ, გაიშალნენ ასფალ-
ტზე. გია ეზუბდაიამ იმ ბნელ ღამეშიც კი
დაინახა, როგორ დაეწყოთ აგრინა და ოვა-
ლი აარიდა. „ეე რა ქენი, შე უბდედურო,“ —
ისე აშკარად ჩაესმა გონებაში, რომ უნებ-
ურად თავიც კი მიაბრუნა და არსადაც არ-
ნასულმა სიბრალულმა, სხეულმაც კი იგ-
რძნო, ისე ჩაუხია სულა. თითქოს ცივი, ი-
ძალიან გალესილი სამართებელი დაუსცეს
მკერდზე შიგნიდან. ჩაფხრენვის ხმაც კი
გაიგო!

ქვეყით, რუსულ პოსტზე წითელი გან-
გაშის რაკეტა ავარდა. მერე მნვანე მიჰყ-
ვა. მერე ისევ წითელი. მერე ისევ მნვანე და
მერე სამჯერ ზედიზე და ისევ წითელი.

„ନୀ କେଇଲାର ଗାଫାଵିପଣ୍ଡ ମେ, ତେବିଦାନ
ଉନ୍ଦା ଡାଙ୍ଗୁଆରିନ ଡା ଶ୍ରେଷ୍ଠର ଗାପତିଳେମ.“ ଅ-
ତିରମାତ୍ରି ମଞ୍ଚିଦି ଗାମୋଯୁତ୍ତାଲା, ମେବଲୁହି
ଦ୍ବାରୁଥା ଗାଫାଙ୍ଗର୍ଜୁଲ ଲକ୍ଷ୍ମୀଶ୍ଵର ଗାଫାରିକଣ-
ିନା ଡା ତେବିତ ଗାଵାରିଦା. ସୁଲ୍ଲ ଉତ୍ତି ନାମିତ
ମନ୍ତ୍ରେରା ତାବାଲୀ ଆଶାଲ୍ପିତ୍ତେ ଗାଢ଼ିଲି ସାଥ
ଲାନ୍ଦିଲେ, ରନ୍ଧରିଲ୍ଲେବିତ ଥୁଲସତ୍ରାଦ ଲେ ନିର୍ବନ୍ଦେ,
ରନ୍ଧରିଲ୍ଲେ ମାଶିନ, କର୍ତ୍ତାରାଶତାନ, କର୍ମଦଲତାନ,
ଲାବରାଶତାନ ଡା ଗୁମିଲିଶତାଶତାନ ଡିକ୍ଷେବି,
ରନ୍ଧରିଲ୍ଲେ ମିଲି ଉତ୍ତରିଲେ କମା ତ୍ରାମିଶତାନ.


სოფლის ბოლოს სროლის ხმა გაისმა. რუსულ პოსტზე ისევ ავარდა წითელი სა-განგაშო რაკეტა, მერე მწვანე. მერე ისევ სამჯერ წითელი, მერე ისევ ორჯერ წითელი. „ჰაააიტ! დაგენცოთ ტრევოგა, განგაში და უბედურება, თქვენი ჯიში.“ ზევით, ისევ თავისი სახლისკენ გაქცეულმა გია ეზუბბაიძ რუსულ პოსტს ავტომატის გრძელი ჯერი მიუშვა. პოსტიდან ზედიზედ აგარდა წითელი რაკეტები, მთელი ცა განათდა. სოფლის ბოლოს სროლა განმეორდა. ყრუდ არახუნდა მსხვილკალიბრიანი „ჰშ“-ა. სოფელს მძიმე ტყვიამზრევევის ჯერი მოატარეს. რუსული პოსტიდან ოთხი რაკეტა ნაბაკევის ცენტრალური გზისკენ გაუშვეს, ხუთიც ენგურზე გაკიდეს, ორი გადასასვლელზე, სამიც ზევით, პირდაპირ მდინარეში. გია ეზუბბაია გაჩერდა, ჩაჯდა და რუსულ პოსტს კიდევ ერთი გრძელი ჯერი მიუშვა. „ა, როგორია? კარგია ტრევოგა და სიკვდილი? თქვენი დედა... საიდან მოეთრიეთ და მოხირდთ, რომ არ დაგადგათ წასვლა და საშველი, საიდან მოხახალებთ, თქვენი კაჩევნიკი, მათხოვარი დედა...“ რუსულ პოსტზე წითელ-ყვითელი პატარა ნერტილები გაჩნდა. ქვევიდან ზევით წნდებოდა ნერტილები, ეგრეურტყამდნენ ქვევიდან ზევით — ექცედნენ. „ა, მიხვდნენ, ზევით რომ გავრბივარ. ჩათლახები. კარგი, აბა, მაშინ,“ — გაიფიქრა

გია ეზუბბაიამ, ერთი ოცი მეტრი ქვევით
ჩაირპინა, ბოგირთან ჩაჯდა, რუსულ
პოსტს გაუსწორა სამიზნე და დაუშვა და
დაუშვა! რუსულ პოსტზე წითელ-ყვითელ
წერტილები კიდევ უფრო გახმირდა.
მომავალ მომავალი დანართის მომავალ

„შოდით, შოდით თქვენი დედა! შოდით
გიორგი ეზუსხბაა ვარ მე, ქართველი
მეგრელი და გალელი კიდო! მოდით და
ნაიღეთ ჩემი ქვეყანა და ჩემი მდინარე, ჩემი
სახლი და კარი, გადაწვით, რომ ვეღარ
მოებრუნდე ანი, მოდით და ნაიღეთ ჩემი
სასაფლაო და სალოცავი, ჩემი სისხლი და
ხორცი, მოდით, თქვენი დედა და გასკდით
ბოლომდე და ცხელ ტყვიასაც გაგატნევთ
აგერ, თვარა ვერ გაძლებით თქვენისე!“ გია
ეზუსხბაამ მეორე მჭიდლიც დაცალა, მესა
მე გაუკეთა და კიდევ ერთი გრძელი ჯერი
მიუშვა რუსულ პოსტს. მაგარი აგარდინი
ლი იყო. უცებ საიდანდაც მოვიდა სი
ბრაზე, ბოლმა, ენერგია და ვეღარც დაღ
ლილობას, ვეღარც შიშს გრძნობდა. ვეღ
არაფერს, ცხოველური ენერგიის და ყელ
ში მოწოდილი სიმწრისა და სიბრაზის გარ
და.

ნაბაკევის თავზე ცა სულ გადანათდა
რუსულ პოსტზე წერტილები ძალიან მოხ
შირდა. სოფლის ბოლოსაც გახშირდა სრო-
ლა. ტყვეობმა სულ უფრო და უფრო ახლო
დაიწყეს სტვენა. გია ეზუხბაია წამოხტა
პირველივე ეზოში შევარდა და ეზო-ეზო
თხილის და მანდარინის ჰლანტაციებით
გავარდა ზევით, პირდაპირ ენგურისკენ. ა-
ბავშვობიდან ყოველ ბილიკს, ქვას და
ტოტს სცნობდა, ყველა საიდუმლო
გასაძრომი, სამოკლოო გზა და გასასვლე-
ლი იცოდა. ნადირივით გუმანით და ინ-
სტინქტით გრძნობდა, საით უნდა გაეხვია
და როგორ უნდა მოეჭრა გზა. ცოტა ხან-
ში, გახურებულს, მდინარის სველი სუნიც
ეცა და დგრიალით მომავალი ენგურის
ხმაც გაიგონა.

გია ეზუბბაია არც გაჩერებულა, ავ
ტომატი მხარილლივ გადაიკიდა, ეგრევა
შევარდა ენგურში და გაღმა ნაპირისკე
გატოპა. მის ზურგსუან, სოფლის ცენტ
ტრალურ გზაზე, ქვევიდან ორმა წყვილმა
ანთებული ფარმა ამოჭრა სიბნელე და გაჩი
ერდა. ცოტა ხანში გამაყრუებელი უმისა-
მართო სროლა ატყდა. „იპოვეს“ —
გაიფიქრა და შეეცადა, უფრო სწრაფად და
ღრმად შევარდნილიყო მდინარეში. ამ
ლვრეული და ტალღებაყრილი, გრუბუნით
მომავალი ენგური იყო ახლა მისი ერთად
ერთი სხია და თავშესაფარო...



დაინახას საიდ თარბას სახე — ალალი, სუფა-
თა, პირდაპირი ლიმილი და ასევე ცხადად
ჩაქასმა: „ნი ვაღლნუისა, გრუზინ, და შტო ტი
ნიკოტო ტიბიძა ნი ტრონეტი, ნი ბოისა.“ გია
ეზუხბაიმ თვალები გაახილა, საიდ თარ-
ბას სახე ისევ იქ იყო, სისხლის მდინარეში
რომელიც დგრიალით მიდიოდა შავი
ზღვისკენ და რომელშიც გია ეზუხბაა
იხრჩობოდა. „ა ტი გავარილ, შტო სევოდ
ნია ნი ტვორი დენ, ა აკაზალსა ნი მო,“ —
საიდ თარბამ ნაღვლიანად გააღიმა,
„ვსიო, გრუზინ, ია უშოლ, პრარვიოშსა
ვსიო ბუთის ხარაშო.“ — თქა თა გარეუ.

უცეპ მხარში გამთანგავი ტკივილი იგ
რძნო. ქვას აასკდა. „მორჩა, დავიბრიდე,
— გაიფიქრა და უცეპ სისხლის ფერი
მდინარე სადლაც წავიდა. გია ეზუხბაინდ
გადმოლმა გამოცურა და ახლა ენგურის
რიყეზე ეგდო. ნელა ადგა, ბარბაცით გადა-
დგა რამდენიმე ნაბიჯი და იქვე ჩაჯდა
აქედანაც ჩანდა, გადაღმა მის სოფელში
ისევ როგორ კრთხებოდა მოძრავი მანქანები
ის ფარების შუქი და როგორ ანათებდნენ
პოსტიდან ავარდნილი რაკეტები ჩაბეჭდე-
ბულ ცას. ყრუდ, ზოგჯერ უფრო

გია ეზუხბაია იჯდა და ცდილობდა
სული მოეტვა. „ბიჭები იპოვეს და მიტო
ისვრიან და დარბიან მასე გამნარებულებ-
ბი.“ გაიფიქრა. „რა ქენი, გია ეზუხბაია, რა-
ტომ ქენი, რად გინდონდა, რაღად გინდო-
და ეგ?..“ „მაგათ მოკლეს ჩემი ძმა... და
პირველად ცხოვრებაში, ამ სიტყვებზე ვე
რაფერი იგრძნო. „მაგათ არ მოუკლავთ
ჯიმაა. ტამიშთან მოკლეს რუსებმა. აფხ-
აზი სულ არ ყოფილა იქ და რომც ყოფილ-
იყო, ამათ არ მოუკლავთ მანც!“ ადგა
მდინარესთან მიეიდა, ჩაჯდა და კარგად
დაკვირდა. მდინარე ჩვეულებრივი იყო
მღვრიე და წყლისფერი, ნოტიო და ცივი
ჰაერით. „აბა, რა იყო, საიდან გაჩნდა და
რამ დამანახა იქ ის აფხაზი?“ გია ეზუხბა-
იამ პირველად გადაინტერა. ცოტა ხანს
კიდევ დაუინებით უყურებდა მდინარეს
რა ძნი რა არ არა და არა ამოხსავა შე

„რა ქები, რა გააკეთე, ეგ, გია ეზუბდაია, ძეუ
უბედურო, ხალხთან ჭადი გატეხე, სად
დღეგრძელო თქვი, მერე შენივე საკუთარი
სახლიდან გამოცილებულს წამოენი და
დახოცე?!” „ხალხი კი არა ის კიდო
ნათელმირნი, მტრები იყვნენ ეგენი, მა-

გათ დაგვხოცეს და გადაგვწვეს, მაგათ დაამარცხებინეს რუსებს ჩვენი თავი? „ახლა გაიმარჯვე? რომ დახოცე, გაიმარჯვე?... ომში ის კი არ მარცხდება, ვინც კვდება, ის მარცხდება, ვინც მისი სახლ-კარიდან მოდის. ისინი მკვდრებიც კი შენს სოფელში არიან, შენ ცოცხალი და საღალამათი სადნახვალ ახლა? ჩარჩობიც ვერ მოიპარე შენი საკუთარი სახლიდან. შედი, აბა, თუ მოიგე რამე უკან.“ გია ეზუხბაიამ ავტომატი მოიშორა და ქურთუკი შეიხსნა. შეხსნილი ქურთუკიდან წყალი გადმოიღვარა. „რა ქენი, გია ეზუხბაია, ეგ, შე უბედურო? აღარ შემიძლია, ღმერთო, შენ მაინც მითხარი რამე, თუ ხარ. რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე? რას შევასკდე? ადამიანი არ ვარ შე? ვეღარ უუძლებ, არა ვარ მე ადამიანი, რას ადამიანი, მკვდრები დამდევნებ წყალში. რა ვქნა, სად წავიდე?“ გია ეზუხბაიამ ტირილი დაიწყო. ბავშვივით გულამოსკებილი ტიროდა. „სად წავიდე? ამ ქვეყანას არ უნდებგარ, აბა, ვისი ვარ? ვის მივადგე? ვინ შემიფარებს? რაზე ვიომე და ვხოცე ხალხს? ვისთვის დაგმარხე მთელი ჩემი ოჯახი და სანათესაო? რა ვქნა? ვინ ვარ აქ მე ბოლოს და ბოლოს?“

„ე, რა ვენა კი არა ის, ვინ ხარ და ად-
ამიანი თუ არ ხარ, კაცი მაინც იყავი. ხო
ხედავ, არაა საშველი, ბლიად!.. მიდი, გია
ეწონებასა მითი. ართი შეიჩი თავაც!..“

ცივი ტკაცანი გაისმა. მჭიდრი მოხსნა.
ცარიელი იყო. ცოტა ხანს იჯდა და გაღმა-
თავისი სოფლისკენ იყურებოდა. გვიან,
კარგა ხნის მერე იგრძნო, რომ მთელი სხ-
ულით კანკალებდა. ადგა, მიბრუნდა და
პირველივე აციმციმებული ნათელი
წერტილისკენ წავიდა. ფეხქვეშ ხრიალით
მიჰყებოდა მშობლიური ენგურის რყების
ძინა.

მიდიოდა სველი, გაყინული და დამა-
რცხებული გია ეზუბბაია და ხელში ცარი-
ელი აგზომატი ეჭირა...

(1) როგორ მოახერხებ ასე ნასვამი, თან
მარტო, ამ სიბძელეში, ამ კარ-ფანჯრის დახს-
ნას და გადატანას შენ? (მეგარ.)

გიორგი მგელაძე

— თქვენი საამაყო ბაბუით, პავლე ინ-
გოროვათი დავიწყოთ. როდესაც ოჯახ-
ში ასეთი პიროვნება გყავს, შეუძლებელია
ლიტერატურის გარეშე იცხოვრო. ბედ-
ნიერებაა, როცა შენს გვერდით სუნთქვას
ადამიანი, რომელმაც დიდი დრო და ენ-
ერგია შეალია ძველი ქართული ლიტერა-
ტურის კვლევას, დაგვიტოვა არაერთთი-
ფუნდამენტური ნაშრომი და გაშიფრა-
ძველი ქართული საგალობლების სანო-
ტო სისტემა. როგორ გახსენდებათ ბაზ-
ობა ბაბუის გარემოცვაში?

— ერთ ამბავს გიამბობთ, რომელიც
არსად მომიყოლია. ერთ დღეს, კიქნებოდი
დაახლოებით 11-12 წლის, ჩვენი სახლს
კარზე ზარი გაისხა. გავაძე და ვხედავ
დეგას ეპისკოპოსი, სამწუხაროდ, სახელი არ
მახსოვეს. პავლე ინგოროვა აქ ცხოვრობ-
სო? — იკითხა. აქ ცხოვრობს-მეთქი, —
კუპასუხე და შევიპატიუჟ. ბაბუა თავის
ოთაბში ინვა. შევყვევი მეუფეს და რას ვხე-
დავ — ოთაბში შესული მუხლებზე დაეცა
ჩანთიდან „ბიბლია“ ამოილო და ბაბუას
მიაწოდა. თურმე პატრიარქის კურთხევა
ჰქონია — პავლე ინგოროვასთან მის-
ულიყო და დაჩინქილს გადაეცა „ბიბლია“.
ეს ამბავი არასოდეს დამავიწყდება. კიდევ
ერთმა ფაქტმა დატოვა ჩემზე ძლიერ
შთაბეჭდილება, რომელიც ბაბუას დასა-
ფლავების დროს მოხდა. საერთოდ, მისი
გასვენების ცერემონია თავიდან ბოლომ-
თა საუკრძალა აუც მარტინ ათონის საკამა

დე საიცონება იყო, ძავრად კულტივაციას
მაშინ მიაღწია, როდესაც სასაფლაოსთან
მიახლოებისას კუბოს კაცები გამოიცალ
ნენ და ქალები შეუდგნენ, სწორედ მათ მი-
ასვერებს ბაბუა საფლავამდე. ასეთი ფაქტი
საქართველოს ისტორიას ერთადერთხელ
ახსოვს — ნიკოლოზ ბარათაშვილის დასა-
ფლავებაზე. ბოლო მომენტში მისი ცხე
დარიც ქალებს წაუსვენებიათ. პავლეს
შემთხვევაში ისტორია განმეორდა და ეკა-
მის მიმართ უდიდეს პატივისცემაზე
მეტყველებს.

— როგორი ურთიერთობა გქონდათ
მასთან, რას გაძლევდათ, როგორც ლიტ-
ერატორი?

— მანაჩერი კინორეჟისორია და რაც თავი მახსოვეს, სულ გადალებებზე დავყავაც დი, თუმცა რაღაც ასაკში გადავწყვიტე რომ პავლეს საქმიანობა უფრო მანინტერესებდა. ყოველდღე შევდიოდ მის თაბაში, შემქონდა 48-ფურცლიანი რვეულები ვსხვდებოდით და ვმუშაობდით. გავდიოდით საქართველოს ისტორიას, ისტორიულ პიროვნებათა ცხოვრებას და მათ მთავარ გზავნილებს, რასაც სრულად ვაკონ-სპექტებდი. ასეთი რეჟიმით ვცხოვრობდი ორ წლის განმავლობაში, მაგრამ ერთ შევნიერ დღეს ეს ყველაფერი დამთავრდა დამთავრდა მაშინ, როცა ამ საქმისთვის ძალიან პატარამ კინორეჟისორობა გადავწყვიტე. მოხდა საოცრება — გადაწყვეტილების მიღებისთანავე მთელი ეს ინფორმაცია ცნობიერიდან გაქრა — აღარაფერი მახსოვდა დაკონსპექტებულ ლექციებიდან, რომელებიც თითქმის ზეპირად ვიცოდი. რასაკვირველია, სადღაც ქვეცნობიერში ეს ყველაფერი დღესაც დევს, თუმცა იმ მომენტშიას მოხდა. მერება ბაბუამ მეხსიერება დაკარგა, ოჯახის წევრებიდან მხოლოდ მე მცნობდა. ჩემთან ბოლო წუთებამდე ჰქონდა ურთიერთობა, ერთხელ შევედი — დამეა, უკუნეთი სიბ-ნელე. სინათლე ავანთე და რას ვხედავ — თავის ლოგინში წამომჯდარა და „გიორგი მერჩულე“ თვალებთან აქვს მიტანილი რას აკეთებ-მეტქი? — ვკითხე. ვკითხულობ — მითხრა, თან დააყოლა — ხომ იცი ეს წიგნი მე დავწერე. ვიცი-მეტქი — ვუპასუხე და მივხვდი, რომ იმ წუთას სხვა განზომილებაში იყო, იმ რეალობაში, საა

— ისევ თქვენს „ლიტერატურულ“

მახსენდება – წიგნები, რომლებმაც წამლე-
კა, გამავსო და თან, გამათავისუფლა.

— ანუ, ალიარებთ, რომ ღიტერატურას ადამიანთა მსოფლმხედველობის შეცვლის უნარი შესწევს?

— რასაკვირელია, ტყუილად ხომ
არის ნათქვამი, რომ პირველად იყო სიტყ-
ვა. ეს ბანალური ჭეშმარიტებაა. რომ არ
არსებულიყო სიტყვის ძალა, მოციქულები
არ დაწერდნენ წიგნად სახარებას — ზეპი-
რად მოაღწევდა ჩვენამდე. იგივე ხეოური
იეროგლიფებიც არ იარსებებდა. სიტყვას
და მასთან ერთად, ლიტერატურას,
ძალიან დიდი ძალა აქვს.

— კინოსა და ლიტერატურას თუ შევადარებთ, რომელს უფრო მეტი ძალა აქვს? ამ შემთხვევაში გეკითხებით როგორც ხელვაცანს, რომელიც კინოსაც იღებს და ტექსტებსაც წერს.

— არ ვიცი, ეს ალბათ ინდივიდუალურია. პირადად ჩემზე ფოლკრომა და კამიუმ ისევე იმოქმედეს, როგორც ფელინის „ამარკორდმა“ ან ჩარლი ჩაპლინის სამსახიობო ოსტატობამ. მოგვიანებით ზუსტად ასევე გამაგიუა მიღომ ფორმანის ფილმა — „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“. ასე რომ, ამ ორი ჟანრის ზეგავლენის შედარება გამიტირდება.

— თუმცა როგორც ჩანს, თქვენს
შემთხვევაში კინო უფრო „წონადი“ აღ-
მოჩნდა, რადგან კინემატოგრაფისკენ
გადაიხარეთ.
— ასახისათვის მარტინი თავის არ

— გადავითაორ, ძაგრაძ დადგა დორ და
კინოდან ლიტერატურაში მოვედი. ჩემი
ფილმების სცენარის ავტორი ძირითადად
თავად ვარ. ისედაც, მთელი ცხოვრება
ვწერ, მაგრამ სწორებ ახლა შევთავაზე
მკითხველს 28 ნოველა და ორი პიესა.

— ამბობთ, რომ მთელი ცხოვრება
წერთ. რას წერთ?

— ხახ რას, ხახ — რას. ჩახახერებს, ეს-
სეებს, რომლებიც არ გამომიქვეყნებია და
ნოველებს. ეს პროცესი წლების განმავლო-
ბაში გრძელდებოდა და არასოდეს შემინ-
ყვეტია, უბრალიდ, ხან ჩანაწერებიანი
რვეული მეკარგებოდა, ხან — ბლოკნოტი
და ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი.
სამი გადალებული ფილმის ფირები
დავკარგე, მაგრამ ამის მიმართ ჩემი
დამოკიდებულება მაქვს — სამყაროში კვე-
ლაფერი გარკვეულ კანონზომიერებას
ემორჩილება და თუ დაიკარგა, ესე იგი, ასე
იყო საჭირო. ამიტომ დიდად არ განვიც-
დი, (კოტას ვინერვილებ და მორჩა).

— როგორც უკვე გითხარით, რეგულარულად ვრჩებიდა და იშვიათად ვტეჭდავთ კიდეც: ერთი ნოველა „ანაბეჭდში“ გამოქვეყნდა, ერთი — ირაკლი კაკაბაძის ჟურნალში — „დრო მშევიღობისა“. ზუსტად ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან მკითხველამდე მივიღოდი და ეს დრო კინოში აღებული იძულებითი პაუზის გამო დღეს დადგა. 2006 წელს დავამთავრე „ჩემი თვითმფრინავი“, რომლის სცენარის ავტორი თავად ვიყავი, მერე გავიმარჯვე კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში — თეონა დოლენჯაშვილის მოთხოვნის მიხედვით უნდა ეათამიოო თითოეული ანუ

ամուսին պատճեն գահանակ գուլպա կուրու կայութակ ազգ ամինա սամօնդա եղութամցը“, րոմելուց աջազո-նցը, մացրամ „Քյէքնօյշրո“ մօնիչենցին գամո զեր դաշասրուլոյ. Սոյլ մեցրոնա, գահանակ եղեծ սամունեա տաքը մատուցած գահանակ ամասոնքամունք եղանակ գահանակ. այս գահան գամոնմաժնարոյ, գահնճա լոյցոյո, րոմելու-տապ զոսարցը ծաղ դա րուստացալուս տեղաբր-քո հիմու էցուս „ցանձնումք, հիմու գամոնցրոն-դեմա“ ծաղացո. Տեղատա թորուս, րոմ արա կոնոքապաշա, ամ էրուցքու զերասոնցը ցան-ցախորուցուլուծո. Ասեցը մնութեալուցանուա րոմերու սկզբունքա օգագիոնրո, րոմելումապ կոնցոյշրութե մատուցուա դա ծաղացուոտ „Մա-արալենցուլ“ սամրազ կանցուագիս թորուս յերտացարուո կոնոքապաշա ցամոմարհիո. Ես էցուս յերտո նուու ցանմացլունքամու անմշա-ցուո ցահուուա, մերը կո մոսեսնցու օւս, րոմ սայմուս կոյշրուսի արացուս հացուցունցիւար, տումբու յու ար արուս պատահու մտացարո. յութորո մնութեալուցանուա, րոմ հիմու մատուցու-դեմա գահնճա տացուսութալու դրոր, րոմելուց սկզբունքալուս դագմուսա ան նոց-ելունքին ներուտազու ցամոցուպենց. նոցնու մա-

დასასრული მე-16 გვერდზე

აპეტმა თავი ბალიშზე მიდო, იქნებ დაეძინა, მაგრამ ახლა ვერანაირი ძალა ვერ დააძინებდა. არათუ გონება, მთელი მისი ორგანიზმი პრობლემის მოვკარებას ითხოვდა. „არავინ არ უნდა დამინახოს, როცა გვამს გვათორევ”, – მხოლოდ ეს გადაწყვიტა.

ვართ. მაგრამ ძალიან ჰგავს. მე მგონი რაღაც მოხდა. მარტო ჩვენ კი არ მივდიოდით ჯოჯოხეთისკენ, ჯოჯოხეთის ნამოვიდა ჩვენსკენ და ჯერ კიდევ ცოცხლებს შეგვხვდა. არ ვიცი, დარწმუნებული არა ვარ. მაგრამ, ეგეც ჯოჯოხეთით თვისებაა, დარწმუნებული არაფერში ხარ“

ის დამე თეთრად გაათენა. მეორე დღეს „ყვითელ ფურცლებს“ ჩაუჯდა და ის კომპანიები მოძებნა, რომლებიც ავტოგაქირავებით იყვნენ დაკავებულინი. მანქანების თვალიერებისას ერთი აზრი მოუვიდა თავში: აუცილებლად ინვალიდებისთვის ადაპტირებული მანქანა უნდა ექირავა. ასეთ მანქანას სპეციალური კიბე ჰქონდა, რომელზეც ინვალიდის ეტლს ააგორებდი. თუ გვამს ინვალიდის ეტლში ჩადებდა, უფრო სწორად, როგორმე ჩასვამდა, მისი თრევაც ალარ მოუწევდა. უპრობლემოდ მოათავსებდა მანქანაში. ელიზაბეტმა ახლა ინვალიდის ეტლს დაუწყო ძებნა. ძვირი ლირდა, თუმცა რას დაეძებდა, მთელ თავის ქონებას გაიმეტებდა, ოლონდ ამ უცნობი ქალის ცხედარი მისი ფურნალების მაგიდასთან არ დებულიყო. „როგორც კი გვამს გავიტან, ეგრევე უქან-მოუხედავად წავალ ამ სახლიდან. ამ ქეყენიდანაც წავალ. ოფიციანთად ვიმუშავებ საზღვარგარეთ. კაფეში ხალხს ბივშტექსა და კარტოფილს დავურიგებ“. - კაცმა სარწყავი დადო და ახლა ნიჩაბი წავლო ხელი, ურიკიდან მიწის ჩამოყრა შეუდგა.

ქალს არაფერი უთქვამს, კარისკენ წავიდა და ჩუმად დაბრუნდა სახლში. თავჩა ქინდრული იჯდა და ფიქრობდა. უცნაური რამ შეამჩინა. ადრე უმნიშვნელო პრობლემაზე შეეძლო, დამჯდარიყო და ეტირა განერვიულებულს აქეთ-იქით ერბინა ახლა კი მსგავსი არაფერი... თავჩა ქინდრული იჯდა და ფიქრობდა. ისე ყურადღებით დასტურებოდა საკუთარ ფეხებს, იფიქრებდი, ახალ ფეხსაცმელებს ისინჯავსო „იქნებ, ესეც ჯოჯონხეთის თვისებაა“, - გაუელვა თავში. მერე მიცვალებულს გახედა. ამ საალამოს ალბათ მოახერხდა მის დამარხვას, მაგრამ მანამდე ცხედარი ისე გაშემდებოდა, შესაძლოა, ინვალიდი ეტლში ვედარც ჩაესვა. „საანამ ჯერ კიდევ სახსრები იღუნება, უნდა მივხედო“, - გაიფიქრა და მშვიდად წამოდგა. ეტლი ახლოს მიიყვანა, მიცვალებულს მხრებში წავლო ხელები და შეეცადა ზედ აეთრია

ავტომანქანების გაქირავების კომპანიას ფასზე მოელაპარაკა. შეთანხმდნენ, რომ ხვალ საღამოს მანქანას გამოიყვანდა. შემდეგ ერთ-ერთ მაღაზიაში გადარეკა, რომელიც ინვალიდებისთვის საჭირო ინვენტარით ხაჭრობდა. აღმოჩნდა, რომ მეორადი ეტლიც ჰქოდათ, ახალზე ბევრად იაფიანი. ელიზაბეტი მაშინვე წავიდა და შეიძინა. სახლში წამოდებამდე საგულდაგულოდ შეაფუთინა ყუთი, რათა ვერაცნ მიმხვდარიყო, რა იყიდა. შინ მისულმა ეტლი ააწყო და იქვე მიდგა. კარგა გვარიანად იყო დაფეხვილი, მაგრამ, რაც მთავარია, ბორბლები მოძრაობდა.

გა და შარცხება შეზობლის სახლს მიაძურა.
კაცმა გააღო. მეჯერად აღარ გაჩერებულა ზღურბლზე. შეი შევიდა და სასტუმრო ოთახიდან აივაზზე, აივიდიდან კი ბაღში გადავიდა. ხესთან იდგა და სადღაცას აუკრძალო.

— არც მე არ ვიცი არაფერი, — თქვა
კაცმა. მერე სარწყავი აიღო და ბოსტნეულის
მუშავებ, ვარდისფერ ნამცხვრებს დავარ-
იგბ”, — ფიქრობდა სახლისკენ მიმავალი
სანამ თავის სახლს მიუახლოვდებოდა
ცუდად გახდა. თავგრძუ ეხვეოდა და კე

— ერთხელაც გამომიცხადეს, რომ ეს მიწის ნაკვეთი ჩემი იყო. ეს ოთახი მე ავაშენებ. კიდევ ერთი ოთახის აშენებასაც ვაპირებ. ოღონძ ჯერ ბალი უნდა გავაფართოვო. გრუნტის წყალია და მიწას ვყრი, რომ ტბორი დაიფაროს. მერე შემოალება და ათავთოვა მიძინება.

— მგონი, ჯოჯონეთი უნდა იყოს, — მშვიდად თქვა კაცმა, — მთლად დარწმუნებული არ ვარ, რადგან მაინც ცოცხლები გამოიტანილია და დადგინდული დროის მეტი ზედ დაწვა და სანამ მოკვდებოდა, იქვე დაგდებული თხელი საბის დაფარებაც მოასწრო.



„ლიტერატურული განვითარების“ ანგაზარება

გივი შაჰენაზარი

— რას ნიშნავს თქვენთვის
მაჩაბლის 13?

— უპირველესყოვლისა იმას, რომ ჩემი
ბაგშვინისდროინდელი მეხსიერების ერთი
საუკეთესო დღეთაგანი ამ სასახლეს, მწერ-
ალთა სახელებს უკავშირდება.

ମାଶିନ ଆସେ ତେରନ୍ତମେହି-ତାନରମେହିଟି ନ୍ଦିଲିସା ତାଙ୍କ ବୁଝାଗୁ.

ობი ახალი დაძთავრებული იყო
ეს თოის უთრო ათრიცნობე

იმ დღეს უფრო ადრინდელ ასაკში ჩემთვის უკვე „ნაცნობ“ მაჩაბლის ცამეტში უჩვეულო ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა. სასახლეში შესასვლელის რამდენიმე კიბის თავში საგანგებოდ „გამოწყეპილი“ ჩემხელა ბიჭი შევამჩნიე; თავი ისე შინაურულად ეჭირა, მგონი, სულაც ამან გამაპედინა და ინტერესიანი, გაფართოებული თვალებით სხდომათა დარბაზში მერ აღმოჩნდი...

იმ დღეს ანა კალანდაძეს, როგორც პოეტის, ბენეფისის შედეგა...
მერედა, მოწიფულობაში გავაცნობიერე ცხრასასოცდაოთხიან, ოცდაათიან წლებგა-

მოვლილი, „გაგანია სოცრეალიზმით“ განამებული უფროსი თაობის მწერლობა იმ დღეს ასე უჩვეულოდ რატომ გამოიყენოდ — სევდიანად გახარებული, თვალზე ცრემლ-მომდგარი... ანას ქალნულებრივი სინმინდით გაჯერებულმა ლექსმა, მისი ლირიკის თითქოს მიამიტურმა უშუალობამ თუ გაახარა და ჩააფიქრა ასე...

ვერავითარი სასახლე კაცს მწერლად ვერ აქცევს! ვერ აქცევს, თუკი მას საამისოდ ნიჭი არ დაჰყევა, ოღონდ, არ ვიცი — ჯილდოდ თუ სანამებლად... განსაკუთრებით ძნე-

ლია ეს მცირერიცხვოვანი, ძველთუდველესი კულტურის ერის შვილთათვის...
მათი დიდი უმრავლესობა, როგორც კი კალამს იღებს ხელში, უმაღ მეციხოვნედ
იქცევა ხოლმე. რას იზამ, სამშობლოს გაქრობის შიშის მუდმივი გარემოცვა სხვა გამო-
სავალს არ გიტოვებს. არად, მოგეხსენებათ, მხოლოდ პატრიოტული თემით დიდ, საყ-
ოვალთა მწერლობას ძნელად თუ ეწევი.

და მისი მიუხედავად ამისა, ჩვენს ძველ დიდ მწერლობაზე რომ არაფერი ვთქვათ, არაერთი ჩვენი თანამედროვეს სახელიც გასცდა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს. ჩემმა თაობამ განა ერთი და ორი დიდი მწერალი გააცილა მაჩაბლის ცამეტიდან მთაწმინდ-ისა თუ დიდუბის პანთეონისაკენ!

სიმბო ჩიქვავისა თაგერეზედომარეობის პერიოდიდან დაზუტებული განა ცოტა ლიტერატურულ პაექრობას შევსწორებიარა?

— როგორ წარმოგიდგინათ მნიშვნელობა სახლის მომავალი?

— როგორც მწერლობისათვის მშვიდობიანი ნავსაყუდელი...

როცა ხელმოკლებას შეჩვეული მზერალი გაუსაძლის შეჭირვებაზე კი არა, საინტერესო ლიტერატურული ცხოვრების ირგვლივ გაგიბამს საუბარს.

როცა ყოველი ღირსეული ლიტერატურული სიახლე ცხოველი ინტერესის საგნად იქცევა...

